



მსოფლიო იცვლება, საქართველოშიც დადგა ცვლილებების დრო!

ქართული ოცნების გეგმა - არ შეცვალოს არსებული ვითარება.

ნაციონალური მოძრაობის და მათი მოკავშირეების (ევროპული საქართველო, სტრატეგია აღმაშენებელი, გირჩი და სხვა) გეგმა - დააბრუნონ ნაციონალური მოძრაობის დროინდელი ვითარება.

ორივე ეს გეგმა ჩვენთვის მიუღებელია!

ჩვენი მიზანია შევცვალოთ მმართველობის ოცდაათწლიანი მავნე პრაქტიკა.

წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ უფრო გაიზრდება ჩამორჩენილობა, უთანასწორობა და სიღარიბე!

რას შევცვლით:

ეკონომიკა

ჩვენ არ ვიზიარებთ მცდარ ხედვას, რომ დამოუკიდებელი ბიზნესმენები და უცხოელი ინვესტორები არიან ქვეყნის გამდიდრებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მთავარი შემოქმედები. ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს. ჩვენ განვავითარებთ ინდუსტრიას, ავაშენებთ საწარმოებს, ქარხნებს, რომლებიც გამოუშვებენ მაღალი ხარისხის პროდუქციას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე გასაყიდად. აქ დასაქმებული ადამიანები მიიღებენ მაღალ ანაზღაურებას და ექნებათ შრომის ღირსეული პირობები.

სოფლის მეურნეობა

ოცდაათწლიანი მცდარი მმართველობის შედეგად ქართული სოფელი დარჩა აუცილებელი ინფრასტრუქტურისა და რესურსების გარეშე. სახელმწიფოს რადიკალური და აქტიური ჩარევა აუცილებელია სოფლად დამკვიდრებული სიღარიბის და ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად. ჩვენ გავანთავისუფლებთ გლეხს ყველა დამატებითი საზრუნავისგან, როგორცაა: ჭირნახულის გასაღება, აგრონომისა და ვეტერინარის მონახვა, გადაზიდვა, გაზაფხულზე თანხების მოძიება. მიწას გადავცემთ ადამიანებს, რომლებიც მას დაამუშავებენ. სოფლებს საერთო სარგებლობაში გადავცემთ სამოვრებს და ტყეებს. დავებმარებით მეურნეს პროდუქტის წარმოებაში, შენახვაში; ხელს შევუწყობთ გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას, დავაფუძნებთ აგრარულ ბანკს და მივაწვდით მეურნეს იაფ და გრძელვადიან კრედიტს. განსაკუთრებით შევუწყობთ ხელს საექსპორტო პროდუქციის წარმოებას.

სამართლიანი გადასახადები

30 წლის განმავლობაში წარმოებული მცდარი პოლიტიკის შედეგად უკიდურესად გაიზარდა უთანასწორობა ყველაზე მდიდრების ვიწრო ჯგუფსა და მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შორის. სახელმწიფო ხარჯების უდიდესი წილი მძიმე ტვირთად აწევს დაბალშემოსავლიან ადამიანებს. ჩვენ შევამცირებთ გადასახადებს დაბალ შემოსავლებზე და გავზრდით მაღალ შემოსავლებსა და დიდ ქონებაზე.

- დასაქმებულთა 90%-ს შეუმცირდებათ გადასახადები, 5-6%-ს დარჩებათ იგივე, მხოლოდ ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე 3-4%-ს გაეზრდება გადასახადები. მიღებული დამატებითი სახელმწიფო შემოსავლები მოხმარდება ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის და განათლების მხარდაჭერას.

განათლება

ოცდაათწლიანი უსასრულო „რეფორმების“ მიუხედავად ვერ მოხერხდა ვერც განათლების სასურველი ხარისხის მიღწევა და ვერც პედაგოგთათვის ღირსეული შრომის პირობებისა და ანაზღაურების უზრუნველყოფა. ნაცვლად საიდანაც გადმოკოპირებული, ხშირად გაუგებარი, ბიუროკრატიული „რეფორმებისა“, ჩვენ დავაკავშირებთ უმაღლეს და პროფესიულ განათლებას ეკონომიკის განვითარებასთან.

მასწავლებელი არის განათლებისა და, შესაბამისად, ქვეყნის განვითარების ბურჯი. საბავშვო ბაღების, საშუალო სკოლების და პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა თავისუფალი და ღირსეული საქმიანობის პირობების შექმნა ჩვენთვის პრიორიტეტია. პედაგოგის საშუალო ანაზღაურება უნდა იყოს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა საშუალო ხელფასზე მეტი.

ჯანდაცვა

მიუხედავად იმ დიდი იმედებისა, რასაც ჯანდაცვის რეფორმაზე ვამყარებდით, ადამიანების ჯანმრთელობა კვლავ რჩება ბიზნესის, ფულის კეთების წყაროდ. ჯანდაცვის სისტემის ცენტრში ბიზნესმენი - კლინიკის, აფთიაქების ქსელის, სადაზღვეო კომპანიის მფლობელი დგას. ჩვენი მიზანია ყველასთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი, უნივერსალური ჯანდაცვის უზრუნველყოფა!

ჩვენ შემოვიღებთ კერძო კლინიკებსა და ფარმაცევტულ კომპანიებზე გონივრულ კონტროლს, რაც გამოიწვევს ფასების შემცირებას. ამავდროულად ვუზრუნველვყოფთ სახელმწიფო და საჯარო მაღალხარისხიან სამედიცინო მომსახურებას, რომელიც იქნება არა მოგებაზე ორიენტირებული, არამედ პაციენტსა და ექიმზე, სადაც ფინანსები მოხმარდება მომსახურების გაუმჯობესებას და ექიმების, ექთნების, სანიტრების ანაზღაურების ზრდას.

ვეტერანები

30 წელია ჩვენში ფასობს მხოლოდ ფინანსურ წარმატებაზე და კარიერულ წინსვლაზე ორიენტირებული ადამიანი. დავიწყებულია ის, ვინც სიცოცხლეზე და კეთილდღეობაზე წინ პატრიოტიზმი და ქვეყნის სიყვარული დააყენა. ჩვენთვის სამშობლოსთვის თავდადება, საკუთარ ხალხთან სოლიდარობა, უპირველესი ღირებულებაა. სწორედ ასეთი ადამიანების ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში დაგვიცავს კორუფციისგან, ეგოიზმისგან, ტყუილისგან და მოგვეცემს ერთობის შენარჩუნების შესაძლებლობას. ჩვენ ყველანაირად ვიზრუნებთ ომის ვეტერანების გააქტიურებაზე და ჩართვაზე ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში!

31 ოქტომბერს შევცვალოთ ოცდაათწლიანი მცდარი პოლიტიკა!

შემოხაზე **46** და დავიწყოთ ქვეყნის განვითარება!

სხვა საქართველო შესაძლებელია!

46

გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის